

საინფორმაციო კომუნიკაციის როლი საქართველოში STEM  
მიმართულებით გენდერული დისბალანსის აღმოფხვრაში

ლაურა პაპასქუა

ანი ჩიკვაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მახარაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

## განაცხადი

„ვაცხადებთ, რომ ნაშრომი "საინფორმაციო კომუნიკაციის როლი საქართველოში STEM მიმართულებით გენდერული დისბალანსის აღმოფხვრაში“ წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის ნაშრომში მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”.

ლაურა ჰაპასქუა

ანი ჩიკვაიძე

05/06/2023

## აბსტრაქტი:

ინფორმაციული კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) სფეროში, რაც ხელს უწყობს ცოდნის, იდეებისა და აღმოჩენების გაცვლას და გავრცელებას. 21-ე საუკუნეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა STEM-ის როლი, ვინაიდან ეს არის მთავარი სფეროები, რომელიც განვითარებაში ეხმარება ადამიანს. საჭიროების მიუხედავად, კვლავ არსებობს დაბრკოლებები, დისბალანსი გენდერული კუთხით, რაც საქართველოს მაგალითზეც აქტუალურია. საინჟინრო და საინფორმაციო კომუნიკაციის სფეროში ქალების წილი ნაკლებად არის წარმოდგენილი, რაც გარკვეულ მიზეზებთან არის დაკავშირებული.

ნაშრომის საკვლევ თემა ეხება STEM სფეროში გენდერული განსხვავებების გამომწვევი მიზეზების დადგენას. ნაშრომის კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს საინფორმაციო კომუნიკაციის როლი საქართველოში და სტერეოტიპების გავლენა საინჟინრო და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში (Informational and Communication Technologies - ICT) , პროფესიის არჩევისას.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩატარდა ორდონიანი კვლევა. პირველ ეტაპზე თვისობრივი, რომლის ფარგლებში STEM სფეროში მოღვაწე ქალებთან ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ, ხოლო შემდეგ რაოდენობრივი კვლევა უფროსკლასელებსა და ICT მიმართულების ფაკულტეტების სტუდენტებთან.

ნაშრომში გადმოცემული იქნება საერთაშორისო STEM ეკოსისტემის მაგალითები, თუ რა მდგომარეობაა დღესდღეობით ამ მიმართულებით, არსებობს თუ არა დაბრკოლებები გენდერული თვალსაზრისით და როგორია სფეროს მომავალი. გაანალიზებული იქნება ასევე საქართველოს მდგომარეობა, როგორია STEM მიმართულებით ცნობიერება,

არსებობს თუ არა პროფესიის არჩევის ეტაპზე დაბრკოლებები და გენდერული დისბალანსი და რა მომავალი აქვს საინჟინრო და ICT მიმართულებას.

ნაშრომში დასკვნის სახით გამოიკვეთა, რომ საქართველოში საინჟინრო და ICT მიმართულებით არსებობს გენდერული სტერეოტიპები, განსაკუთრებით გავრცელებულია, რომ გოგონებს არ შეუძლიათ ტექნოლოგიური მიმართულებით განვითარება, მუშაობა და ეს კაცის საქმეა. გამოიკვეთა დამატებით მიგნებები, რაც უკავშირდება პროფესიის არჩევის ეტაპებს, სამუშაო გარემოს, რომელზეც დეტალურად იქნება გამახვილებული ყურადღება კვლევითი პროექტის ფარგლებში.

**საძიებო სიტყვები:** კომუნიკაცია, გენდერული დისბალანსი, სტერეოტიპები, საინჟინრო და საინფორმაციო ტექნოლოგიები, STEM, პროფესიის არჩევა.

## **Abstract:**

Information communication plays an important role in the field of science, technology, engineering and mathematics (STEM), facilitating the exchange and dissemination of knowledge, ideas and discoveries. In the 21st century, the role of STEM has become especially important, since these are the main fields that help people develop. Despite the need, there are still obstacles, imbalance in terms of gender, which is also relevant in the case of Georgia. The share of women in the field of engineering and information communication is less represented, which is related to certain reasons.

The research topic of the paper is about determining the causes of gender differences in the STEM field. The research of the paper aims to determine the role of information communication in Georgia and the influence of stereotypes in the field of engineering and information technologies (Informational and Communication Technologies - ICT), when choosing a profession.

Based on the objectives of the research, a two-level research was conducted. In the first stage, qualitative, within the scope of which an in-depth interview was conducted with women working in the STEM field, and then a quantitative study was conducted with high school students and students of ICT faculties.

The paper will present examples of the international STEM ecosystem, what is the current situation in this direction, whether there are obstacles in terms of gender, and what is the future of the field. The situation in Georgia will also be analyzed, what is the awareness in the STEM direction, whether there are obstacles and gender imbalance at the stage of choosing a profession, and what is the future of the engineering and ICT direction in Georgia.

The conclusion of the paper indicates that there are gender stereotypes in the field of engineering and ICT in Georgia, it is especially common that girls cannot develop and work in the field of

technology, and this is a man's job. Additional findings related to the stages of choosing a profession, the working environment were highlighted which will be focused on in detail within the framework of the research program.

**Search words:** communication, gender imbalance, stereotypes, engineering and information technology, STEM, career choice.

## მადლობა

მადლობას ვუხდით კვლევაში მონაწილე ყველა მხარეს, სკოლის მოსწავლეებს, უნივერსიტეტის სტუდენტებს, განსაკუთრებული მადლობა კვლევაში მონაწილე საინჟინრო და ICT სფეროში აქტიურად მოღვაწე ქალებს, ასევე დიდი მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლას სტუდენტებში კვლევის გავრცელებისთვის, ასევე რეკომენდაციებისა და გაწეული შრომისთვის დიდი მადლობა თემის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს გიორგი მახარაძეს.